თბილისი ენერჯი

TBILISI ENERGY

დაკვეთა № 02-01-32211-22

ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის; (ნაკვეთი №14/178)
საკ.კოდი №01.19.36.014.623
შპს "ალფა დეველოპმენტი"
მინდ. პირი (ანა კაჭკაჭიშვილი)

ქსელის რეკონსტრუქცია


შ.პ.ს. "ენერჯი ქონსთრაქშენის"
დირექტორი _____ დ.გვაძაბია

ცხელი ხაზი: (032) 240 40 04
საავარიო სამსახური 114

ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. #18ა

www.te.ge

თბილისი, 2022 წელი



ჰიდრობითი აღნიშვნები

არს. პოლ. ს/წ მიწისქვეშა გაზსადენი


საპროექტო პოლიეთილენის მიწისქვეშა ს/წ გაზსადენი

გასაუქმებელი გაზსადენი

ბეტონი

ბრუნტი

აქსონომეტრიული სქემა მ 1:50




შენიშვნები

1. პროექტი შედგენილია შ.პ.ს.„თბილისი ენერჯი“-ს შემოსული 19.04.2022წ №02-01-32211-22 წერილის საფუძველზე.
2. ვერტიკალური მანძილი ელ. კაბელს, სატელეფონო კაბელსა და გაზსადენს შორის უნდა იყოს არა ნაკლებ 0.5 მ, ხოლო დანარჩენი მიწისქვეშა კომუნიკაციებიდან 0.2 მ.
3. გაზის ხელსაწყოების დაყენება და გაზსადენის მონტაჟი შესრულდეს თანახმად СниП 2.04.08-87* СП 42-103-2003 და გაზის მეურნეობაში უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.
4. პროექტიდან ყოველგვარი გადახვევა შეთანხმდეს შპს "ენერჯი ქონსთრაქშენის" საპროექტოსთან მონტაჟამდე.
5. გაზსადენის ასვლები და დაშვებები დაზუსტდეს ადგილზე მონტაჟის დროს

11	ბეტონის აყრა დაგება	მ³	106,0		
10	მიერთება არს. ს/წ. მიწისქვეშა. გაზსადენში d=32x32-ით. მუხლით	ადგ.	1		
9	მიერთება არს. ს/წ. მიწისქვეშა. გაზსადენში d=110x110-ით. მუხლით	ადგ.	1		
8	მიერთება არს. ს/წ. მიწისქვეშა. გაზსადენში d=63x63-ით. ქუროთი	ადგ.	1		
7	მიერთება არს. ს/წ. მიწისქვეშა. გაზსადენში d=32x32-ით. ქუროთი	ადგ.	1		
6	მიერთება არს. ს/წ. მიწისქვეშა. გაზსადენში d=110x110-ით. ქუროთი	ადგ.	1		
5	გაზსადენის გაყვანა და გამოცდა	გრძ/მ	130,0		
4	მიწის გატანა	მ³	75,600		
3	ტრანშეის შევსება ბალასტით	მ³	48,00		
2	ბალიშის მოწყობა და მილის დაფარვა ქვიშით	მ³	25,830		
1	ტრანშეის გათხრა მექანიზმებით 90% და ხელით 10% (L=83,0)	მ³	75,600		
№	სამუშაოთა დასახელება	განზ.	რაოდენობა		
	სამშაოთა მოცულობა				
11	25521	—	სასიგნალო ლენტი	120,0	—	გ/მ
10	25521	—	პოლ. გარცმის მილი d=63 2ც	37,0	—	გ/მ
9	25521	—	პოლ. გარცმის მილი d=160 3ც	83,0	—	გ/მ
8	—	—	ქურო d=32	5	—	ც
7	—	—	ქურო d=63	1	—	ც
6	—	—	ქურო d=110	9	—	ც
5	21217	—	მუხლი(პოლიეთილენის) d=32 90°	2	—	ც
4	21217	—	მუხლი(პოლიეთილენის) d=110 90°	3	—	ც
3	21971	—	პოლიეთილენის მილი d=32 ზომაგრძელი	40	—	გ/მ
2	21971	—	პოლიეთილენის მილი d=110 ზომაგრძელი	90	—	გ/მ
1	25283	—	პოლ. სამკაპი d=110xd=63	1	—	ც
№	კოდი	სახსტანდარტი ან შიფრი	დასახელება	რაოდ	მასა/კგ	განზ
	სპეციფიკაცია					


d=160 (110) d=63 (32)

ტრანშეის განივი პროფილი მ 1:20
L=37.0 მ



d=90 (50)

ტრანშეის განივი პროფილი მ 1:20
L=46.0 მ



დამკვეთი:	შპს „თბილისი ენერჯი“	თბილისი ენერჯი TBILISI ENERGY	დაკვეთა №	02-01-32211-22
შემსრულებელი:	შპს "ენერჯი ქონსთრაქშენ"		თარიღი	25.05.2022
დააპროექტა	კ. ბატიაშვილი	ვარკეთილი 2-ბა და ვაზისუბნის სახ. რაიონს შორის; (ნაკვეთი №14/178) საკადასტრო №01.19.36.014.623 შპს "ალფა ჯეველოპმენტი" მიწ. პირი (ანა კაჭკაჭიშვილი)		
შეამოწმა	ლ. ბულალაური			
ქსელის რეკონსტრუქცია		გენგეგმა, შენიშვნები, აღნიშვნები, ტრანშეის განივი პროფილი, აქს-სქემა, სპეციფიკაცია	ფურცელი	ფურ-ბი
			1	1

x?recid=207368381 - Google Chrome
ecid=207368381

საგადასახადო დავალება N1
Payment Order N1
01.06.2022

რეფ.#/Ref# 207368381

გადამხდელის დასახელება: ა/ა შპს "სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი", 454407721
Sender's Name:

გადამხდელის ანგარიში: GE76BS0000000063636033
Sender's Account:

გადამხდელის ბანკი/Sender's Bank: სს ბაზისბანკი ბანკის კოდი/Bank Code: CBASGE22

თანხა/Amount

24 958.23

თანხა სიტყვიერად/Amount in Words
ოცდაოთხი ათას ცხრაას
ორმოცდათვრამეტი ლარი და 23 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on person on behalf of whom the payment is made

დასახელება: ა/ა შპს "სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი", 454407721
Payer's Name:

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი/Payer's ID 454407721

მიმღების დასახელება: შპს თბილისი ცენტრი
Receiver's Name:

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: GE81BG0000000173317400
Receiver's Account/Treasury Code:

მიმღების ბანკი/ხაზინა: ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22
Receiver's Bank/Treasury: საქართველოს ბანკი

ბანკის აღნიშვნები/Remarks of the Bank

ბანკში შემოსვლის თარიღი
Date of receipt to the bank
01.06.2022

გატარებულია ბანკის მიერ
Date of accounting by the bank
01.06.2022

გადახდის დანიშნულება: შესრულებული სამუშაო - ხელშეკრულება 27,05,2022
Details of Payment:

დამატებითი ინფორმაცია:
Additional Info:

ხელმოწერა/Signature ----------



ხელმოწერები
Signatures

ბ.ა
Stamp

დანართი № 2

შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ს/კ 205129617

№6

27/05 2022

დამტკიცებულია
შპს „თბილისი ენერჯის“
გენერალური დირექტორის
2021 წლის __9 მარტის № 19 -დ ბრძანებით

ხელშეკრულება №002/02-01-32211-22
სამონტაჟო სამუშაოს შესრულების შესახებ

ქ. თბილისი

27/05/2022 წელი

ერთი მხრივ შპს „თბილისი ენერჯი“ (შემდგომში - „შემსრულებელი“) და მეორე მხრივ **შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი** პ/ნ/ს.კ **454407721** (შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი **ანა კაჭკაჭიშვილი** პ.ნ **01024037487** სახით, (მინდობილობა **№21042803**, თარიღი **29.04.2021**), შემდგომში ერთობლივად, „მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე – „მხარედ“ წოდებულნი, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის სამონტაჟო სამუშაოს შესრულება (შემდგომში - „სამუშაო“) მისამართზე **ვარკეთილი 2 სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე ნაკვეთი** საკადასტრო კოდი **01.19.36.014.623**, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. სამუშაოს ღირებულება შეადგენს **24958,23** ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.2.დამკვეთის მიერ სამუშაოს ღირებულების გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2(ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებული საბანკო რეკვიზიტებზე თანხის ჩარიცხვის გზით (გადახდის ოპერაციის დანიშნულებაში ხელშეკრულების რეკვიზიტების მითითებით).

3. მხარეთა ძირითადი ვალდებულებები და უფლებები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1. სამუშაო შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

3.1.2. განიხილოს დამკვეთის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

3.1.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.1. სამუშაოს შესრულების პროცესში, დამკვეთთან შეუთანხმებლად, ჩართოს მესამე პირი (ქვეკონტრაქტორი), იმის გათვალისწინებით, რომ შემსრულებელი პასუხს აგებს ქვეკონტრაქტორთა მოქმედებებზე, როგორც საკუთარზე;

3.2.2. მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3.3. დამკვეთი ვალდებულია:

3.3.1. გადაიხადოს სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;

3.3.2. მოიპოვოს და გადასცეს შემსრულებელს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ნებართვა/თანხმობა/გადაწყვეტილება, თუ კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული ნებართვის/თანხმობის/გადაწყვეტილების მოპოვება არ წარმოადგენს მხოლოდ შემსრულებლის ვალდებულებას;

3.3.3. დაიცვას და შეასრულოს სამუშაოს ტექნიკური პირობის და/ან საინჟინრო პროექტის მოთხოვნები, აგრეთვე წერილობით აცნობოს შემსრულებელს პროექტის შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შესახებ ;

3.3.4. უზრუნველყოს შემსრულებლის მიერ სამუშაოს დაუბრკოლებლად წარმოებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

3.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

3.4.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

3.4.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

4. სამუშაოს შესრულების ვადა და მისი მიღების წესი

4.1. სამუშაო უნდა შესრულდეს შემსრულებელთან ანგარიშსწორების განხორციელების თარიღიდან **90** სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან:

4.1.1. თუ სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა მესამე პირ(ებ)ის თანხმობა ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო ნებართვა, მაშინ აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება დამკვეთის მიერ შემსრულებელთან ანგარიშსწორების განხორციელებისა და სამუშაოს შესრულებაზე მესამე პირ(ებ)ის თანხმობის წარდგენის ან/და კანომდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო ნებართვის/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის გადაცემის თარიღიდან.

4.1.2. თუ საჭირო თანხმობ(ებ)ის/ნებართვ(ებ)ის/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის წარდგენის აუცილებლობა დადგენილ იქნა სამუშაოების წარმოების პროცესში, აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება შესაბამისი თანხმობ(ებ)ის/ნებართვ(ებ)ის/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის გადაცემის ვადით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

4.1.3. სამუშაოს შესრულების ვადა ასევე ჩერდება ფორს-მაჟორული გარემოებების (რომელიც შეუძლებელს ხდის სამუშაოთა წარმოებას) არსებობის შემთხვევაში.

4.1.4. სამუშაოს შესრულების ვადა ჩერდება პროექტის შესაბამისად დამკვეთის მიერ გასატარებელი სხვა ღონისძიებების (უსაფრთოებასთან დაკავშირებული ღონისძიებების, ასევე, სამუშაოების ნაწილის დამკვეთის მიერ შესრულების და სხვა) ვადით, რის თაობაზეც შემსრულებელი დამკვეთს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

4.1.5. სამონტაჟო სამუშოების შესრულების ვადა შესაძლებელია ასევე შეჩერდეს ისეთი ობიექტური გარემობებიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია ტექნიკური და უსფრთხოებასთან დაკავშირებული

ებების, ბუსუსიანი გაზით მომარაგების მაშტაბური შეწყვეტის, ბუნებრივი გაზის წნევის დასაძვები
მებიდან გადახრისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან გამომდინარე.
რი კლიმატურ პირობებში ბუნებრივი გაზის წნევის სხვა .
. სამუშაოს ვადის შეჩერების (მიზეზის მითითებით) და გაგრძლების შესახებ მოკლე ტექსტური
ყობინების სახით ეცნობება დამკვეთს. ამასთან, დამკვეთი ვალდებულია წერილობით მიმართოს
რულებელს და აცნობოს მისი მხრიდან გასატარებელი ღონისძიებების შესრულების, ასევე, ნებისმიერი
ემოების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს/შესაძლებელია მოახდინოს შემსრულებლის მიერ
ვალდებულების შესრულებაზე (მათ შორის ვადის დინების შეჩერებაზე) და საჭიროების შესაბამისად,
უდგინოს სათანადო დოკუმენტაცია (ნებართვა/თანხმობა/გადაწყვეტილება და სხვა).

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1.სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის არიღიდან.

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დამკვეთი, მისთვის მიღება-ჩაბარების აქტის გადაცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხელს არ მოაწერს აღნიშნულ აქტს ან იმავე ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს მის ხელმოწერაზე უარის მიზეზს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება ხელმოწერილად, ხოლო სამუშაო ჯეროვნად შესრულებულად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. თუ დამკვეთი არ შეასრულებს ან არასათანადოდ შეასრულებს სამონტაჟო სამუშაოს ტექნიკური პირობის და/ან საინჟინრო პროექტის მოთხოვნებს, მაშინ შემსრულებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის.

6.3. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სადავო საკითხი გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

7. ფორს–მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (შემდგომში - „ფორს–მაჟორული გარემოებები“) მოქმედებით (სტიქიური უბედურება, საომარი მოქმედება, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება და სხვა), რამაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.

7.2. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.3. ფორს–მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:

8.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.2.2.ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მე-4 მუხლის 4.1.1-4.1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების 1 (ერთი) თვეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში;

8.2.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში;

8.2.4 შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, განსაზღვრულ ვადაში 4.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამკვეთის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

8.2.5. დამკვეთის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოს ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, ავტომატურად;

8.2.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

8.3. ამ მუხლის 8.2 პუნქტის 8.2.2, 8.2.3 და 8.2.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წინასწარი წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე.

8.4. თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება შემსრულებლის ინიციატივით, დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, ან დამკვეთის მოთხოვნით, თუ ეს მოთხოვნა განპირობებული არ არის შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით, მაშინ დამკვეთი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

9. დანართები

9.1. ხელშეკრულებას თან ერთვის საინჟინრო პროექტი - დანართი №1.

9.2. ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი, მისი შედგენის თარიღის მიუხედავად, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

10.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ითვლება სათანადოდ გაფორმებულად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და გაგზავნილია ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებულ შესაბამის მისამართზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს წარმოების პროცესში სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ სამუშაოების წარმოებაზე თანხმობის გაცემის მიზნით, მოთხოვნილია სამუშაოების საწარმოებლად შემუშავებული პროექტის კორექტირება, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დამკვეთის მხრიდან დამატებითი საფასურის/ანაზღაურების გარეშე შეცვალოს პროექტი და თუ ტექნიკურად არის შესაძლებელი მოიყვანოს შესაბამისობაში მოთხოვნილ პირობებთან.

10.4. ამ მუხლის 10.3 პუნქტის გამოყენება დაუშვებელია, თუ განსახორციელებელი პროექტის კორექტირების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9. სამუშაოს შესრულების შედეგად მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიამდე არსებული/მოწყობილი ელი წარმოადგენს შემსრულებლის საკუთრებას და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებული მესაკუთრის უფლებები.

10.6. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამკვეთი აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,თბილისი ენერჯის“ მიერ განხორციელებული სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოების შედეგად არსებული/მოწყობილი ხაზობრივი ნაგებობები დამკვეთის კუთვნილ/მფლობელობაში არსებულ დაცულ ტერიტორიამდე (წითელ ხაზამდე) წარმოადგენს შპს „თბილისი ენერჯის“ საკუთრებას და მას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ენიჭება უფლებამოსილება განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის რეგისტრაციისა და შემდგომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მისი ექსპლუატაციის და გამართული ფუნქციონირებისათვის.

10.7. ხელშეკრულებით მოუწესრიგებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისის დადგენილებების და გადაწყვეტილებების შესაბამისად.

10.8. დამკვეთი ადასტურებს, რომ შემსრულებელმა მას დეტალურად გააცნო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამანაწილებელ ქსელზე მიერთების პროცედურა, მათ შორის, სამუშაოს შესრულების ვადები და თანმიმდევრობა, აგრეთვე, დამკვეთისა და შემსრულებლის ძირითადი ვალდებულებები და უფლებები.

10.9. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტური ეგზემპლარის სახით, თითოეული მხარისათვის.

11. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:	**დამკვეთი:**
შპს „თბილისი ენერჯი“	ანა კაჭკაჭიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა	მისამართი:ვარკეთილი 2 სა და ვაზისუბნის
ს/კ 205129617,	საცხოვრებელ რაიონს შორის მდებარე ნაკვეთი
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“	პ.ნ/ს.კ 01024037487
ბ/კ BAGAGE22,	საბანკო რეკვიზიტები:
ანგარიშის № GE81BG0000000173317400	ანგარიშის № ----------
ელ.ფოსტა: info@te.ge	ელ.ფოსტა:
ტელ:2 40 40 04	ტელ:593154528
მ. ქიროშვილი	
შპს „თბილისი ენერჯი“	

შეთანხმება

2022 წლის 16 თებერვალი ქ. თბილისი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი *„იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“* ს/კ 406134678 მისამართი ქ. თბილისი ბრილების ქუჩა #8, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ბატონ ჯონი შალამბერიძის სახით (შემდგომში იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულ კრებად წოდებული) და მეორეს მხრივ *შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი“* ს.კ. 40507721 მისამართი ქ. თბილისი ვარკეთილი ე.წ. სვანების ბაზრობის მიმდებარედ, წარმოდგენილი მისი დირექტორის ქალბატონ ნინო ნემსაძის სახით (შემდგომში ალფა დეველოპმენტად წოდებული) ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები წარმოადგენენ რა მეზობელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს ერთმანეთის მიმართ გამოხატავენ ღრმა პატივისცემას.
2. მხარეებს ერთმანეთის მიმართ არასოდეს ჰქონიათ გაუგებრობა ან ურთიერთპრეტენზიები და სურვილი გააჩნიათ კეთილმეზობლური ურთიერთობები გაგრძელდეს შემდგომაც.
3. კეთილმეზობლური ურთიერთობების დასტურად მხარეები აფორმებენ ამ შეთანხმებას შემდეგი მიზნებისთვის.
4. ალფა დეველოპმენტმა მიმართა თხოვნით იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულ კრებას მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით #01.19.36.014.977, ნაწილზე 1000 კვ.მ. ოდენობით დროებით განთავსდეს ალფა დეველოპმენტის მშენებლობისთვის საჭირო მასალა და სამშენებლო ამწე და კომპანიამ ტერიტორია ზოგადად გამოიყენოს მშენებლობის პროცესისთვის. (მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად გამოყოფილი ტერიტორია უნდა შეიღობოს).
5. თავის მხრივ იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულ კრება მიმართავს თხოვნით ალფა დეველოპმენტს, რადგანაც ეს უკანასკნელი აქტიურად მონაწილეობს საპროექტო სამშენებლო საქმიანობაში, დაეხმაროს, ამ შეთანხმების მე-4 პუნქტში მოხსენიებული, მიწის ნაკვეთის სარეკრეაციო ზონის პროექტირება-რენდირებაში, ტაქსაციაში, კალკულაციაში და სხვა და ქ. თბილისის შესაბამის თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანმების უზრუნველყოფაში.
6. მხარეთა შეთანხმებით ალფა დეველოპმენტი სარგებლობაში მიღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობას განახორციელებს საკუთარი მიწის ნაკვეთის ტერიტორიიდან ისე, რომ არ შეაფერხოს კონტრაჰენტის საქმიანობა.

7. მხარეები ამ შეთანხმების ფარგლებში თანამშრომლობენ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.
8. მხარეთა თანამშრომლობა ატარებს არასაკომპენსაციო ხასიათას და მიზნად ისახავს ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე საკუთარი საქმოანობის გაუწმჯობესებას.
9. ეს შეთანხმება შედგენილია 2 ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს.

მხარეები:

სსიპ *„იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული კრება საქართველოში“*

ჯონი შალამბერიძე

შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი“

ნინო ნემსაძე

შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD

№6 ს/კ 205129617

6/05 2022.

დანართი № 1

დამტკიცებულია
შპს „თბილისი ენერჯის“
გენერალური დირექტორის
2021 წლის 9 მარტის № 19 -დ ბრძანებით

ხელშეკრულება №001-02-01-32211-22
გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მომზადების შესახებ

ქ. თბილისი
6/05/2022- წელი

ერთი მხრივ შპს „თბილისი ენერჯი“ (შემდგომში - „შემსრულებელი“), და მეორე მხრივ შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი პ/ნ/ს.კ 454407721- (შემდგომში - „დამკვეთი“), წარმოდგენილი კაჭკაჭიშვილი ანაპ.ნ 01024037487--სახით, (მინდობილობა №210428303, თარიღი29.04.2021), შემდგომში ერთობლივად, „მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე – „მხარედ“ წოდებულნი, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსრულებლის მიერ დამკვეთის ობიექტის (მისამართი-ვარკეთილი 2 სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის ნაკ 14/194-, საკადასტრო კოდი-01.19.36.014.623-) გაზმომარაგების საინჟინრო პროექტის მომზადება (შემდგომში - „მომსახურება“), შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მომსახურების ღირებულება შეადგენს 300 ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.2.დამკვეთის მიერ მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებული საბანკო რეკვიზიტებზე თანხის ჩარიცხვის გზით (გადახდის ოპერაციის დანიშნულებაში ხელშეკრულების რეკვიზიტების მითითებით).

3. მხარეთა ძირითადი ვალდებულებები და უფლებები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 მომსახურება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

3.1.2 აცნობოს დამკვეთს ნებართვების/თანხმობების მოპოვების და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შესახებ, ასევე ნებართვის მომპოვებელი მხარის შესახებ ინფორმაცია;

3.1.3.შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.2.1. მომსახურების გაწევის პროცესში, დამკვეთთან შეუთანხმებლად, ჩართოს მესამე პირი (ქვეკონტრაქტორი), იმის გათვალისწინებით, რომ შემსრულებელი პასუხს აგებს ქვეკონტრაქტორთა ქმედებებზე, როგორც საკუთარზე;

3.2.2. მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3.3. დამკვეთი ვალდებულია:

3.3.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;

3.3.2. შემსრულებლის მიერ წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის დადგენის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, გადაიხადოს მოცემული სამუშაოების საფასური, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულის უზრუნველყოფა არ წარმოადგენს შემსრულებლის ვალდებულებას;

3.3.3. მიაწოდოს შემსრულებელს გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად აუცილებელი დოკუმენტები (ტერიტორიის გენ. გეგმა მიწისქვეშა კომუნიკაციების მითითებით, იმ სართულ(ებ)ის გეგმა, სადაც ხორციელდება ბუნებრივი გაზის ხელსაწყოების მონტაჟი და სხვა);

3.3.4. მოიპოვოს და გადასცეს შემსრულებელს პროექტირებასთან/სამონტაჟო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ნებართვა/თანხმობა/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილება, თუ აღნიშნულის მოპოვება კანონმდებლობის შესაბამისად არ წარმოადგენს მხოლოდ შემსრულებლის ვალდებულებას;

3.3.5. უზრუნველყოს შემსრულებლის მიერ სამუშაოების დაუბრკოლებლად წარმოებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

3.4. დამკვეთი უფლებამოსილი:

3.4.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

3.4.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების განხორციელებისა და შემსრულებლისათვის გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად აუცილებელი დოკუმენტების (ტერიტორიის გენ.გეგმა მიწისქვეშა კომუნიკაციების მითითებით, იმ სართულ(ებ)ის გეგმა, სადაც ხორციელდება ბუნებრივი გაზის ხელსაწყოების მონტაჟი, თანხმობ(ებ)ი/ნებართვ(ებ)ი/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილება და სხვა) წარდგენის თარიღიდან **18 (თვრამეტი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. თუ პროექტის მოსამზადებლად საჭირო თანხმობ(ებ)ის/ნებართვ(ებ)ის/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის წარდგენის და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა დადგენილ იქნა პროექტირების პროცესში, ამ მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული შესრულების ვადა შეჩერდება და მისი დინება განახლდება დამკვეთის მხრიდან შესაბამისი თანხმობ(ებ)ის/ნებართვ(ებ)ის/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის გადაცემის ან წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარებისთანავე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

4.3. წინასაპროექტო და პროექტირების სამუშაოების შესრულების ვადა ჩერდება დამკვეთის მიერ გასატარებელი სხვა ღონისძიებების (ობიექტის დაშვების უზრუნველყოფა და სხვა) ვადით, რის თაობაზეც შემსრულებელი დამკვეთს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

4.4. წინასაპროექტო ან პროექტირების სამუშაოების შესრულების ვადა ასევე ჩერდება ფორს-მაჟორული და სხვა ობიექტური გარემოებების (რომელიც შეუძლებელს ხდის სამუშაოთა წარმოებას) არსებობის შემთხვევაში.

4.5. მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, საპროექტო სამუშაოების ვადა შეიძლება გაიზარდოს, რის შესახებაც, კონკრეტული ვადის მითითებით დამატებით ეცნობება დამკვეთს.

4.6. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან.

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დამკვეთი, მისთვის მიღება-ჩაბარების აქტის გადაცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხელს არ მოაწერს აღნიშნულ აქტს ან იმავე ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს მის ხელმოწერაზე უარის მიზეზს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება ხელმოწერილად, ხოლო მომსახურება ჯეროვნად გაწეულად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სადავო საკითხი გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

7.ფორს–მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (შემდგომში - „ფორს–მაჟორული გარემოებები“) მოქმედებით (სტიქიური უბედურება, საომარი მოქმედება, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება და სხვა), რამაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.

7.2. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.3. ფორს–მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:

8.2.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.2.2 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების 1 (ერთი) თვეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში;

8.2.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში;

8.2.4 . დამკვეთის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით და/ან მე-3 მუხლის 3.3. პუნქტის 3.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, ავტომატურად;

8.2.5 შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, მე-4 მუხლის 4.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.

8.2.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

8.3. ამ მუხლის 8.2 პუნქტის 8.2.2, 8.2.3 და 8.2.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წინასწარი წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე.

8.4. თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება შემსრულებლის ინიციატივით, დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, ან დამკვეთის მოთხოვნით, თუ ეს მოთხოვნა განპირობებული არ არის შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით, მაშინ დამკვეთი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

9. განსაკუთრებული პირობა

9.1.თუ ხელშეკერულება წყდება დამკვეთის მიერ მე-3 მუხლის 3.3. პუნქტის 3.3.2 ქვეპუნქტით განსაზღვული სამუშაოების ღირებულების აუნაზღაურებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დამკვეთს დაუბრუნდება მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის შესაბამისად გადახდილი მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნების გაქვითვის გათვალისწინებით.

9.2. შემსრულებლის მიერ მომზადებული გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მოქმედების ვადად განისაზღვრება 6 (ექვსი) თვე და ამ ვადის გასვლის შემდეგ ითვლება ძალადაკარგულად.

9.3 დამკვეთი ადასტურებს, რომ შემსრულებელმა მას დეტალურად გააცნო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამანაწილებელ ქსელზე მიერთების პროცედურა, მათ შორის, გაზიფიცირების საპროექტო, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ვადები და თანმიმდევრობა, აგრეთვე დამკვეთისა და შემსრულებლის ძირითადი ვალდებულებები და უფლებები.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამკვეთი აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების საფუძველზე შპს ,,თბილისი ენერჯის“ მიერ განხორციელებული სამონტაჟო-სამშენებლო

სამუშაოების შედეგად არსებული/მოწყობილი ხაზობრივი ნაგებობები დამკვეთის კუთვნილ/მფლობელობაში არსებულ დაცულ ტერიტორიამდე (წითელ ხაზამდე) წარმოადგენს შპს „თბილისი ენერჯის“ საკუთრებას და მას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ენიჭება უფლებამოსილება განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის რეგისტრაციისა და შემდგომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მისი ექსპლუატაციის და გამართული ფუნქციონირებისათვის.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

10.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ითვლება სათანადოდ გაფორმებულად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და გაგზავნილია ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებულ შესაბამის მისამართზე.

10.4. ხელშეკრულებით მოუწესრიგებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის, შესაბამისად.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტური ეგზემპლარის სახით, თითოეული მხარისათვის.

11. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:
შპს „თბილისი ენერჯი“
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა
ს/კ 205129617,
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22,
ანგარიშის № GE81BG0000000173317400
ელ.ფოსტა: info@te.ge
ტელ: 2 40 40 04

შპს „თბილისი ენერჯი“

დამკვეთი:შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი
მისამართი: ვარკეთილი 2 სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის ნაკ 14/194
პ.ნ/ს.კ 454407721
საბანკო რეკვიზიტები:
ანგარიშის № ----------
ელ.ფოსტა:KACHO_1985@YAHOO.COM
ტელ:593154528

თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-01-32211-22
05 / 05 20 22

შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი“-ს
მინდობილ პირს ანა კაჭკაჭიშვილს

ქალბატონო ანა,

თქვენი მიმდინარე წლის 19 აპრილის №02-01-32211-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ს/კ №01.19.36.014.623 მიმდებარედ არსებული გაზსადენის გადაადგილებას გაცნობებთ, რომ შპს „თბილისი ენერჯის“ მიერ დადგინდა საპროექტო ღირებულება, რომელიც შეადგენს 300 (სამასი) ლარს. სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება დადგინდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, კომპანია ქსელის გადალაგების სამუშაოებს ასრულებს მიწის ქვეშ, შესაბამისად მილსადენი უნდა განთავსდეს მიწაში.

თქვენს მიერ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან თქვენი მხრიდან სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების მოპოვების შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

ხელშეკრულების გასაფორმებლად ეწვიეთ კომპანიის ვებ-გვერდს www.te.ge, შევსებული ფორმა გადმოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე public@te.ge. შეთავაზება ძალაშია 3 (სამი) თვე.

შპს „თბილისი ენერჯი“ საცხოვრებელი კორპუსების სამშენებლო სამუშაოებზე დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი თანხმობის გაცემას მოახდენს მას შემდეგ, რაც თქვენი მხრიდან შესრულებული იქნება კომპანიის მოთხოვნები.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR

№05.01/053-22

05 იანვარი 2022 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

მოგახსენებთ, რომ სს „ბაზისბანკსა“ და შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი-ს (ს/ნ: 454407721) შორის გაფორმდა N13.12/0120-21 იპოთეკის ხელშეკრულება (დამოწმების თარიღი 13/12/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, განცხადების რეგისტრაციის № 892021067219), რომლის საფუძველზეც, სს „ბაზისბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება, შემდეგი მახასიათებლებით: მისამართი: ალაქი თბილისი , ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონს შორის (ნაკვეთი N14/178); მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.19.36.014.623;

სს “ბაზისბანკი” აცხადებს თანხმობას, რომ განხორციელდეს ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთზე) შენობა-ნაგებობის მშენებლობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი N AR1869261, AR1869004, AR1869250 და AR1869492 განცხადებებზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად იმ პირობით, რომ მშენებლობის შემდგომ დარეგისტრირებულ უძრავ ნივთზე/ნივთებზე (შენობა-ნაგებობაზე) სს ,,ბაზისბანკის“ რეგისტრირებული იპოთეკის უფლება გავრცელდება სრულად.

წინამდებარე წერილი ძალაშია 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მისი გაცემის თარიღიდან.

პატივისცემით,

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

JSC BASISBANK
ს/ნ ბაზისბანკი
ბაზისბანკი BASISBANK
203841833

შემსრულებელი: მარიამ ოძელაშვილი

საქართველო, თბილისი,
ქეთევან წამებულის გამზ. 1
1, Ketevan Tsamebuli Ave.,
Tbilisi, Georgia

+995 322 922 922
info@basisbank.ge
www.basisbank.ge

განმარტების სახით მოგახსენებთ, რომ სს «თელასის» სასარგებლოდ უზუფრუქტის უფლებით დარტვირთული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს საპროექტო სამშენებლო მიწის ნაკვეთის ნაწილიდან მოშორებით (დაახლოვებით 60-80 მეტრი) და სამშენებლო სამუშაოები, ისევე როგორც ასაშენებელი შენობა ნაგებობები არ არის შემხებლობაში სს «თელასის» სასაგებლოს უზუფრუქტის უფლებით დატვირთულ მიწათან. ამიტომ სს «თელასის» თანხმობა არაა საჭირო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221231049**
თარიღი: **03/05/2022**
პინი: **3166**

ადრესატი: ოთარი კუჭავა
პირადი ნომერი: 01019078390
მისამართი: თბილისი ზესტაფონის ქ. N 6 ბ. 66

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო ოთარი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2022 წლის 29 აპრილის №012211910-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2022 წლის 29 აპრილის №012211910-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონს შორის (ნაკვეთი N14/178) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.19.36.014.623) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/6YOoaDrTglBiBls

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 6 22 01226853

10/05/2022

მოქ. ო. კუჭავას
თბილისი ზესტაფონის ქუჩა N 4/14, კორპუსი 2, ბინა 66;
თქვენს 2022 წლის 8 მაისის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონს შორის ს/კ 01.19.36.014.623-ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის მოწყობის, სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას (წერილის ნომერი 03/05/2022 16-01221231049), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 1 ფაილად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

1.26	8 ც
3.24	4 ც
3.24	4 ც
3.25	3 ც
T7	2 ც

უსაფრთხოების ლენტი

ქვეითთა გადაადგილების მიმართულება

არსებული გზა

ს/კ 01.19.36.014.623

ს/კ 01.19.36.014.623

სმოს - ღობის მონტაჟი/დემონტაჟის სამუშაოთა წარმოების პერიოდი

ფორმატი A3

მემორიალური ობელისკის ირგვლივ არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა

სატრანსპორტო ნაწილი

სტადია

დაკვეთა: საზღვრების ორგანიზების სქემა

დაბეჭდილი:

kuchavaoto@gmail.com


ფორმატი A3

1.26		8 ც
3.24		4 ც
3.24		4 ც
3.25		3 ც
T7		2 ც

უსაფრთხოების ლენტი

ქვეითთა გადაადგილების მიმართულება

სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება



შენიშვნა: გადაადგილება არ იზღუდება და რჩება არსებული სიტუაციის მიხედვით.

სატრანსპორტო ნაწილი
სტადია

დაკვეთა: საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

დაგეგმარება:

სმოს - ღობის განთავსების დასრულებული ვარიანტი

1.26	3.24	T7
5 ც	2 ც	3 ც	2 ც

უსაფრთხოების ლენტი

ქვეითთა გადაადგილების მიმართულება

შესასვლელ გამოსასვლელი გზის კონფიგურაცია

შენიშვნა:

ს/კ 01.19.36.014.623

15 მ

50 მ

3.50

0.50

სამოს - შესასვლელის მოწყობა

ფორმატი A3

მემსრულებელი
ოთარ კუნავა

სატრანსპორტო ნაწილი
სტადია

დაკვეთა: სამგზავრო მოძრაობის ორგანიზების სქემა

დანიშნულება:

kuchavaoto@gmail.com

ფორმატი A3

შენიშვნა:

1.26	3.24	4 ც
20	3.24	2 ც
40	3.24	2 ც
	T7	2 ც

უსაფრთხოების ლენტი

ქვეითთა გადაადგილების მიმართულება

შესასვლელ გამოსასვლელი გზის კონფიგურაცია

40
50 მ
20
15 მ
20
0.50
3.50
0C
15 მ
20
40
50 მ

ს/ჯ 01.19.36.014.623

სამოს - შესასვლელის მოწყობა

მემსრულებლები
ოთარ კუნავა

სატრანსპორტო	ნაწილი
	სტადია

დაკვეთა: საზღვრ მოძრაობის ორგანიზების სქემა

დაკვეთის:

kuchavaoto@gmail.com


ს/პ 01.19.36.014.623

ფორმატი A3

2.1	8 ც
2.3	7 ც
5.19.1	28 ც
5.19.2	28 ც

ტროტუარის ჭრილი:

გზისა და პანდუსის ჭრილი:



ტროტუარის პირობითი აღნიშვნა

სერვიტუტი

არსებული შენობები ა
არსებული შესასვლელ

სმოს სამუშაოთა დასრულებული ვარიანტი

სატრანსპორტო	ნაწილი
	სტადია

დასახელება: სანაპირო მოძრაობის ორგანიზების სქემა

დამკვეთი:

ს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ოპერაციის თარიღი: 10.05.2022
სრულების თარიღი: 10.05.2022

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ანგარიშზე შემოსავლის დოკუმენტი N 55/76386

კლიენტი	მაღალაშვილი ალექსანდრე
დაბადების თარიღი	22.11.1981
პირადი ნომერი	01025010734
ანგარიშის მფლობელი	ცენტრალური ფილიალი
ანგარიში	GE64BG4501981317030000
სალაროს ანგარიში	100598131701000000000
დანიშნულება	სერვის-ცენტრების მომსახურებით გადასახდელის გადახდა, 10/05/2022 , სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ნომერი AR1897201BP, გადახდის კოდი - 7302522098
თანხა	**8,344.20 GEL** რვა ათას სამას ორმოცდაოთხი ლარი 20 თეთრი
საკომისიო	1.00 ლარი ერთი ლარი 00 თეთრი

საქართველოს ბანკი
79
BAGAGE22

კლიენტის ხელმოწერა

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
1357 BAGAGE22

-კონფიდენციალური